008109719

ექსპერტის დასკვნა № 008109719

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: სს საქართველოს რკინიგზა

თანამდებობა: სატვირთო გადაზიდვების დირექტორი

მისამართი:

სახელი და გვარი: გ. გურამიშვილი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

გაიკ აბრამიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 43 წელი სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

სს "საქართველოს რკინიგზა"-სა და სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო"-ს შორის 2019 წლის 03 მაისს გაფორმებული №დი/19-022 ხელშეკრულების საფუძველზე, გთხოვთ ჩაუტაროთ ექსპერტული კვლევა მდგომარეობაზე სადგურ ველის ადმინისტრაციულ შენობას (ქ. თბილისი, სამგორი-გარდაბნის გზატკეცილი შენობა №1 რკინიგზის სადგური). აღნიშნული ობიექტი თუ ექვემდებარება დემონტაჟს. დაგვიდგინოთ დემონტაჟის შემთხვევაში ამოღებული მეორადი მასალების სავარაუდო ღირებულება.

შემოსვლის თარიღი: 25/10/2019 წ

გასვლის თარიღი: 16/12/2019 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, სამგორი-გარდაბნის გზატკეცილზე მდებარე რკინიგზის სადგურ ველის ადმინისტრაციული შენობის (შენობა №1) ფაქტიური ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც მწვავე ავარიული, ექსპლუატაციისათვის უვარგისი და საფრთხის შემცველი. საჭიროა უსაფრთხოების ზომების დაცვით დროული დემონტაჟი, ხოლო რაც შეეხება ამოღებული მეორადი სამშენებლო მასალების სავარაუდო ღირებულებას, ამის დადგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მათი დასაწყობებისას.

გაიკ აბრამიანი

გამოკვლევა

სს „საქართველოს რკინიგზა“-ის დავალებით (ბიუროს რეგისტრაციის №1009457019, 25/10/2019 წ.) ჩვენს მიერ ვიზუალურად